10 (22) მაისს 1868. № 19. მესამე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: — გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:—მმართ ბლოგბის განკარგულება.—სამოსამართლო მაჩვენებელი.—წიგნი რედაქტორთან —პოლიტიკა:—შრანცია.—ავსტრია.—მეხიკა.—ტელეგრამები. სხვა და სხვა ამბავი.—შკლეტონი: უჩინმაჩინის ქუდოსანი და იმისი ლაპარაკი მკითხველთან.—სახაზინო განცხადება.

მთავრობის განკარგულება.

მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მიერ დამტკიცებულის პლანით გამიჯვნის მოქმედებისათვის წრეევანდელს წელს, გამიჯვნა მოხდება:

თბილისის გუბერნიაში, ა) დუშეთის უეზდში, ჭსნისა და არაგვის გაღმა გამოღმა, მტკვრიდგან და საგურამოს მთიდგან დაწყობილი დუშეთს გარეშე მდებარე მამულებამდინ; ბ) გორის უეზდში, მტკვრის გაღმა გამოღმა, ასე რომ მარცხენა მხარეს ამა მდინარისა მამულები გაიმიჯნება გორის ქალაქიდგან დაწყობილი, და მარჯვენა მხარეს ამავე მდინარისა გაიმიჯნება მამულები დასაელეთით საჯავახოამდინ; გ) თბილისის უეზდში, გამიჯვნის მოქმედება განვრცელდება იმავე ადგილებში, სადაც დაწყობილი იყო მიჯნა, გაუქმებული მეორისა, მესამისა, მეოთხისა, მეხუთისა და მეექვსე კამმისიებისაგან და ამასთანავე ხელ ახლა დაიწყობა მიჯნა იმ მამულებისა, რომელნიც მდებარენი არიან ბოლნისისა და მაშაველის ხეობებში; დ) თელავის უეზდში გაიყოფება მონაწილეებთა შორის მამულები, შემომიჯნულნი გაუქმებული მეშვიდე და მერვე კამმისიებისაგან და ამასთანავე გაიმიჯნება მამულები, მდებარენი ალაზნის მარჯვენა მხარეზედ, ვარდისუბანსა და წინანდალს შორის, და აგრეთვე მამულები თავადთ ანდრონიკაშვილებისა, რომელნიც მდებარებენ ალმოსაელეთის მხარეს ამა უეზდისა; ე) სიღნაღის უეზდში გაიმიჯნება მამულები თავადი ანდრონიკაშვილებისა, მდებარენი ალაზნის მარჯვენა მხარესა; ვ) ახალციხის უეზდში პირველად დაიწყობა გამიჯვნა იმ მამულებისა, რომელნიც მდებარებენ ახალციხის ქალაქის გარეშემო, და შემდგომ გაიმიჯნება მამულები, მდებარენი სივრცეზედ ახალციხიდგან დაწყობილი აბას—თუმნამდინ.—

ჭუთაისის გუბერნიაში გამიჯვნა დაიწყობა ჭუთაისის უეზდში, ჭუთაისის ქალაქის გარეშემო მდებარე მამულებისა, მაშინ, როდესაც აღება პლანზე მამულები, შარშან გაკეთებული ტრიგონომეტრიული სეტის საფუძვლით, და შემდეგ დაიწყობა გამიჯვნა ყვირილისა და რიონის გაღმა—გამოღმა მდებარე მამულებისა.—

მლიზავეტოპოლის გუბერნიაში აღება პლანზე განჯის ქალაქში მდებარე მამულები, ოც და ხუთი საჟენიანი მასშტაბით, და შემდგომ გაიმიჯნება მამულები, მდებარენი ამ ქალაქში; შუშის უეზდში გამიჯვნის საქმეები დაიწყობა შუშის ქალაქიდგან მოყოლებული ჩრდილოეთისა და ჩრდილოთ დასაელეთის მხარისაკენ, ყარაბაღა—ჩაისა და ხან—ჩაის შეყოლებაზე ტერტერისა და ყირკაიას მდინარებამდინ.

ერევნის გუბერნიაში გაკეთდება მხოლოდ საფუძვლად ტრიგონომეტრიული სეტი ახალბაიაზეთის და ერევნის უეზდებში, მისთვის რომ შეიძლებოდეს მომავალს წელს აღება პლანზედ ამ მამულებისა და შემდგომ გამიჯვნაცა მათი.

ამას გარდა, მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ქაეკაზიის ნამესტნიკის საკუთარის განკარგულებით ამა 1868 წელს გაიმიჯნება შამლუღის მამული, მდებარე თბილისის უეზდში.

უმაღლესის უქაზით, 9 დეკემბერს 1867 წ. არის ნაბრძანები 4 მუხლში, როგორათაც თვით გამიჯვნა, აგრეთვე განრჩევა ამ გამიჯვნის დროს აღმოჩენილის დაევებისა, უნდა მოხდეს სრულის საფუძველით გამიჯვნის წესდებულებისა 29 თიბათვის 1861 წ., ქვემოხსენებულის ცვლილებით:

ა). მოწვევა მამულის პატრონთა სამძღვარზედ, მიღება მათგან მიჯნების ჩვენებისა მამულების საკუთრებაზედ, დამტკიცება უდავო სამძღვრებისა, შერდგენა მორიგებითი პირობებისა, პოლევის ჟურნალებისა და სხვა აქტებისა იმაზედ, რაც მოხდება გამიჯვნის დროსა, და აგრეთვე შერდგენა სადაო და უდაო მამულების პლანებისა, მიენდობა განსაკუთრებით დანიშნულთ ზემლემრებს, გაგზავნილთ ადგილობრივ; მას შემდგომ განრჩევა და გარდაწყვეტა დაევებისა, რომელნიც აღმოჩნდება გამიჯვნის დროს, და აგრეთვე ზემლემრების მოქმედებაზედ საჩივრისა მიენდობა ოკრუჟნის სუდებსა, რომელთაც აქვსთ ნება შეარდგინონ განსაკუთრებითი, ადგილობრივ განსაკუთრებული წესები, ამ საგანზედ.

ბ). ზემლემრების მოქმედება ადგილებზედ, ზემლემრების მოვალეობა, ზემლემრების ჯამაგირი, ზემლემრების ნაწილება ადგილებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ.

გ). ზემლემრების მოქმედება ადგილებზედ, ზემლემრების მოვალეობა, ზემლემრების ჯამაგირი, ზემლემრების ნაწილება ადგილებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ.

დ). ზემლემრების მოქმედება ადგილებზედ, ზემლემრების მოვალეობა, ზემლემრების ჯამაგირი, ზემლემრების ნაწილება ადგილებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ.

ე). ზემლემრების მოქმედება ადგილებზედ, ზემლემრების მოვალეობა, ზემლემრების ჯამაგირი, ზემლემრების ნაწილება ადგილებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ.

ვ). ზემლემრების მოქმედება ადგილებზედ, ზემლემრების მოვალეობა, ზემლემრების ჯამაგირი, ზემლემრების ნაწილება ადგილებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ.

ზ). ზემლემრების მოქმედება ადგილებზედ, ზემლემრების მოვალეობა, ზემლემრების ჯამაგირი, ზემლემრების ნაწილება ადგილებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ, ზემლემრების ნაწილება ოკრუჟნებზედ.

უჩინმაჩინის ქუდოსანი და იმის საუბარი მკითხველთან.

დიდი ხანია, ჩემო კეთილო, რაც შენთან არ მილაპარაკნია და სწორეთ მოგახსენოთ, იმისთანა სენიც გადამეკიდა, რომ თითქმის აღარცკი მეხერხება ლაპარაკი. მას აქეთ რაც ღმერთს ცაში დემონი (*) შეურისხავს, ის გადმტერებია კაცთა ნათესავობას და ყველაფრით ცდილობს, რომ შეაწუხოს. ერთი ამ გრძნეულ სულთაგანი მეც გადამეკიდა და საშველს არ მაძლევს. თუ დავიწყე აედრიანობაზე ლაპარაკი და მოვყევი ცა მოიღრუბლა-მეთქი, ხალხსაც უწინდელი გრძნობა თანდათან ეკარგება მეთქი, მაშინვე უხილავი დემონი პირში მეჩრება: „ახლა რა არისო, ენაზე სულ ეგ სიტყვები გაკრაესო: „ცუდი“ და „ცუდიო“; ერთ ჯერ მაინცა სთქვი სიტყვა „კარგიო“; ეს სიტყვა კანტრაბტით ხომ არ შეგკვრია, სულ მე მიძახეო“. თუ ვთქვი ცუდმა დრომ ცუდი ზნე მოიტანა მეთქი, ის მაშინვე უხილავი ხელით პირს მიკრავს და მეუბნება: რათ ამბობ ცუდმა დრომ ცუდი ზნე მოიტანა, რატომ ასრე არ იტყვიო, კარგმა დრომ კარგი ზნე მოიტანაო“. ახლა ეგეც ახირებულია!... თუ ღმერთს ენა მოუცია სალაპარაკოთ, რასაც ჩემი გონება და ჩემი აზრი მიმაგნებინებს; ის უნდა გამოვთქვა, თორემ ან საკუთარი ენა და საკუთარი გონება რალათ მინდოდა. თუ ღმერთს ჰსურვებოდა, ჩემო უხილავო დემონო, შენებურათ ჩემი ლაპარაკი, ბარემც შენს გონებას და შენს ენასაც მომცემდა, რომ სულ კარგი და კარგი მეძახნა; მაგრამ სჩანს, რომ ეგ უფრო არა ყოფილა სამართლიანი, და რადგან შენ, ჩემო დემონო, თავის დღეშიაც არ გჩვევია სამართლიანობა, მაშ უნდა ვიფიქრო, რომ არც ამაში ბრძანდები მართალი, რომ მუდამ მეუბნები, ჩემებურათ გასძახვიდეო...მახსენებ ღმერთს და კიდევ სიტყვით „ცუდით“ დავიწყებ ლაპარაკს....—„სსუ. სსუ, სსუო“!—ღმერთმა შემარცხვინოს, თუ ეგ კაცობა იყოს. სიტყვის თქმა არ მაცალე და როგორ იქნება! მოდი და ამას შემდეგ გულ დამშვიდებით ილაპარაკე!....

„წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთ აღბქმათა
ბრმად ვუმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთ გულის
თქმათა....

ქიდევ იმიტომაც ამდენი ხანი არ მილაპარაკნია შენთან ჩემო მკითხველო.

ქიდევ ამიტომაც „დროებაში“ მალმალ არ გამოვდივარ, მკითხველო, ჩემი უჩინმაჩინის ქუდითა, რომ ხან შეგაქციო ჩვენი საზოგადოების სასაცილო მოქმედებითა, ხან გული აგიშფოთო იმის უმგზავსო ყოფა-ქცევითა. რაც დემონმა თავის ბრჭალებში ჩამიგდო, მას აქეთ ხალისი არა მაქვს, თან დემონს ევებრძოლო და თან შენთან ვილაზღანდარაო. რა გაეწყობა! ხომ გაგიგონიათ დრონი მეფობენო. ამაევე გვარათ ჩემზედაც დემონი მეფობს. აბა რალა გამიეა!....

ეგ არის, ჩემო მკითხველო, ვაი თუ ჩემმა დემონმა ჩემზედ დიდხანს იმეფოს!... აი, მე რისა მეშინია! მაშინ დავიკარგები საუკუნოთ, და ის არის! მაშინ ხომ ველარ ნახავ შენს უჩინმაჩინის ქუდოსანს მისებრუათ მოლაპარაკეს!...

„ღმერთო სახიერო ნუ დამიკარგავ მე სასოებას!..“.

იცი რა გითხრა, მკითხველო! ახლა ჩემი სვე ჰგავს ერთს უპატრონო გემსა, რომელიც შუაგულს ზღვაში ტიეტიევებს. ზღვა ღელავს და თვით გემიც ხან მარჯვნივ გადადის, ხან მარცხნითა.... პა, პა, პა!.. რომ ზღვის ზვირთი ზედ შეევარდეს, ხომ სულ დასძირავს და შთანთქავს უფსკრულში; მაგრამ მე კი არ მჯერა ესა.... ღმერთი მართალთა!... — თვითონაც არ ესმის, რასაც როტავსო—ამბობ სმკითხველი.—მართალი ბრძანება გახლავთ; მაგრამ ამისთანა ბუნდი შეუგნებელი ლაპარაკი ხანდახან უნდა მომიტევო, ჩემო მკითხველო, რადგან ხშირად „ენა მიყიელებს ხოლმე“, როგორც ჩვენში იტყვიან.—

(*) დემონი არის გრძნეული, ეშმაკი.

ამას წინეთ ერთს ჩემს მეგობართან ვიჯექ ბულვარზე ჩვეულებრივ დაღერემით. თუმცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მაგრამ ტფილისს მჭმუნვარე ღამეში მოწყენით ჩასძინებოდა. იმის ქუჩები არ იყვნენ დაფა-ზურნით გამხიარულებულნი და არც ქუჩის ბიჭების უდრდელი სიმღერა და სალამურის კვრა აღვიძებდა ტფილისის არემარეს.„-საკვირველიაო-ვითხრა ჩემ გვერდით მჯდომმა მეგობარმა—რომ ამ ტფილისს ამისთანა მყუდრო სახე დაედვაო, სიცოცხლე და სიცხოველე სულ დაეკარგაო.-უწინდელი უდარდელი ცხოვრება და შექცევა აღარ მობრუნდება, ვთქვი ჩემ გუნებაში. როცა კაცს ზრუნვა თავს დააწვება, იმას ცეკვა-თამაშისა აღარა სცხელა. ჰხედავ, პატარა ბიჭი როგორ თავდახრილი მისწრაფის სომხის ბაზრისკენ! ალბათ გასასყიდი რამ დარჩენია, ან თავის აღასთან ეშურება, რომ დაუდეროზა არ შეამცნიოს და კაპეიკი არ დააკლოს. იმანაც ისწავლა კაპეიკის ფასი! დრო შეიცვალა; უკაპეიკოთ ველარაევის უცხოერია. ტფილისის დარდიანობა მთელ საქართველოს დარდიანობას და ზრუნვას აცხადებს. სწორეთ ასე დაღვრემით იქცირება ამ ჟამათ მთელი საქართველოცა. ამ ცოტა ხანში იმან ბევრი რამ გამოსცადა. ათასის წლის მომკილს ცხოერების წესს სამუდამოთ გამოეთხოვა. ამ ჟამამდე ყმა ბატონის იმედით ცხოერებდა, ბატონი ყმის იმედითა; დიდი და პატარა ისე იყვნენ გადაბმულნი ერთი ერთმანეთზე, რომ ყოველი კაცი სხვისი იმედით ცხოერებდა და თავის ღონეს ან სულ არ დასდევდა და ან ზომაზე მეტს ძალას ატანდა და წელში იყო გაწყვეტილი. ამის გამო ზოგი მუდამ შექცევაში იყო და იძახოდა „ნუ ზრუნავთ ხვალისთვისაო“, ზოგი ცას შესჩივოდა თავის გაჩენას. არც ერთს იმათგანს თავისა არ ეიმედებოდა. ეს ოთხი ხუთი წელიწადია, რაც დრო გადატყდა. ცხოერების წესი განახლდა. დიდსა და პატარას უწინდელი იმედი მოაკლდა. აქ ხალხი შედგა და გაოცებით თავის თავს ჰკითხა: რა უნდა ექმნათ, ან აწ რის იმედით ვიცხოროთ!—ეს იყო მიუცილებელი და მძიმე კითხვა. ამ კითხვაზე პასუხი ყველას მზათ ჰქონდა; აი პასუხი: „უნდა ვიშრომოთ და საკუთარის თავის იმედით უნდა ვიცხოროთო“.... მაგრამ სიტყვა ადვილათ ითქმის და იმის ასრულება კი ყოველთვის ძნელია. განსაკუთრებით ძნელი და შეუჩეველი იყო ახალი წესისამებრ ჩვენი თავად-აზნაურობის ცხოერება; ასი და ათასი წელი გასულა, მას აქეთ რაც ჩვენს კეთილშობილს საზოგადოებას დაუწყია კეთილშობილურათ ცხოერება: ხელ ფეხი შრომაში არ უწურთენია; მუშის გაჭირება თავის დღეში არ უნახავს, რომ ჭკუა-გონება ეევარჯისებინოს თავის ცხოერების გასამჯობინებლათ. ის იყო სხვის იმედათ და თავის დროს ბატონურის მოსვენებით და დიდკაცურს შექცევაში ატარებდა. თავიც დასვენებული ჰქონდა და ხელფეხიცა. ამ უზრუნველს გარემოებაში გაზდილი საზოგადოება რასაკვირველია უნდა შემკრთალ იყო, როცა გარემოება დააგდებდა იმას თავის ამარათ: მის დღეში თოხისთვის ხელი არ მოუკიდნია და ახალი დრო კი ამას ეუბნება, თუ არ მოჰკიდე, შიმშილი მოგელისო; გავლილი დრო ეუბნებოდა: „ნუ ზრუნავთ ხვალისათვისაო“, ახალმა დრომ კი ასე უთხრა: „იზრუნეთ ხვალისთვისაო. ერთი სიტყვით ჩვენი საზოგადოება ჩადგა იმ გარემოებაში, საცა პირის პირ შეეხვედა ცხოერების მოთხოვნილებას და უნდა დაეკმაყოფილებინა ისა საკუთარის შრომითა.

როცა საზოგადოება მარტო თავის იმედათ დარჩება, იმისთანა კარგი არა არის რა, ამიტომ რომ ადრე იქნება თუ გვიან, ის მიჰყოფს ხელს შრომასა, რომელიც დაჰბადებს სულიერს და ხორციელს ძალასა. მაგრამ უჩვევს კაცს შრომის შეჩვევამდის კარგა ძალი დრო უნდება. ამ დროს განმავლობაში, ის მუდამ ყოყმანში და დარდშია. ის ჩუმათ ებრძვის თავის თავს: წინ წავიდე, ვაი თუ უა-

ბრივ გასასვლელად, ოტდელენიები (განყოფილებანი).—

განსაკუთრებითი მეჭევის ნაწილის განყოფილება გადმოღმა ქავკაზიისა აცნობებს რა ამ განკარგულებას საყოველთაო საცნობლათ, აცხადებს, რომ გამიჯვნა მამულებისა დაიწყება მაისში, და 60—64 მუხლით უმაღლესად დამტკიცებულის გამიჯვნის წესდებულებისა ქავკაზიის აქეთი მხრის, ყველა მამულის მეპატრონენი და წოდებანი მოვალენი არიან თვითონ უგდონ ყური გამიჯვნის მოქმედებასა უეზდში და ზემლემრების მიახლოებებასა მათს მამულებთან, მისთვის რომელ ზემლემრების მისვლის დროს სამძღვარზედ იყვნენ ყველანი მზათ, არამც თუ აჩვენონ თვისი მამულების სამძღვრები, არამედ დაამტკიცონ თვის მიერ ნაჩვენების სიმართლე და საფუძვლიანობა, ყოველის კანონიერის საბუთებით, თუ ვინიცობაა აღმოჩნდა დავა.

ამისათვის მამულის მეპატრონენი მოვალენი არიან: 1, ზემლემრის მისვლის დროს ანუ თვითონ უნდა დახვდნენ გასამიჯნავს მამულში, ანუ გამოგზავნონ განსაკუთრებითი ექილები (პოვერენიები); 2, ჰქონდეთ მზათ ყოველი სიგლები და დოკუმენტები, რომელნიც ამტკიცებენ მამულის პატრონის უფლებასა მის მიერ ნაჩვენებ მამულზედ, ყოველივე ეს საბუთები უნდა იყვეს გადმოთარგმნილი თვისის კოპიებით და ჩააბარონ მათ, ვინც მიჯნების ჩვენების მოვალენი არიან, და 3, გამოცხადდნენ სამძღვარზედ უწყებაში დანიშნულს დროზედ, ანუ საზოგადოდ, მაშინ როდესაც ზემლემერი მიეა მამულის გასამიჯნავათ, გამოსაცხადებლად და დასამტკიცებლათ თვისის მამულის უფლებისა.

თუ ვინიცობაა ზემლემრის მისვლის დროს სამძღვარზედ არც თვითონ მამულის მეპატრონე, არც მისი ექილი სამძღვრის საჩვენებლად გასამიჯნავ მამულში არ აღმოჩნდნენ, მაშინ მიჯნები უნდა უჩვენონ მოურავებმა, სოფლის მოხელეებმა, ანუ გლეხთაგან აღმორჩეულთა, და თუ ესენიც არ გამოცხადდნენ, მაშინ სამძღვრებს უჩვენებენ მომიჯნავენი.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამძღვრის მაჩვენებელს დავის აღმოჩენის დროს, თან არ ექნება მზათ ყოველი დოკუმენტები, ანუ სხვა დასამტკიცებელი საბუთები, მაშინ დავა გადაწყდება იმ საბუთებით, რომელნიც იქნებიან მზათ.

ვინც უწყების მიღების შემდგომ, ან საზოგადოდ ზემლემრის მისვლის დროს, მემამულის სამძღვარზე არ გამოუცხადებს თვის უფლებასა მამულის საკუთრებაზედ, მაშინ აღარ შეუძლიან ითხოვოს მამულის ხელ-ახლა გამიჯვნა და არც დაბრუნება იმ მამულისა, რომელიც შემომიჯნულია სხვის სახელზედ რომელსაც თავის დროზედ გამოუცხადებია თვისი უფლება.

რწმუნების წერილი, მიცემული მამულის პატრონებთაგან გამიჯვნის საქმეებზედ უნდა იყოს დაწერილი შემდგომის ფორმით.

186 წ. დღეს, მე, ქვემორე ხელის მომწერელი, ვაძლევ უფლებასა (ამა და ამასა, წოდება, სახელი და გვარი), რომ ჩემს მაგიერად დაესწროს გამიჯვნის დროს ჩემდა კუთვნილთ მიწებთა, მდებარეთა (ამა და ამ უეზდში, ამა და ამ სოფელში); ამასთანავე ვაძლევ ნებასა, რომ უჩვენებდეს მამულების სამძღვრებსა, გამოაცხადებდეს დავასა, შეიტანდეს არზებსა, საჩივრებსა და აპელლაციებსა და მოისმენდეს განაჩენსა, აგრეთვე მოახდენდეს დაზავებით მორიგებასა და საერთო მამულების გაყოფასა, შეურიგდებოდეს, ამოირჩევდეს შუა კაცთა და შუა-კაცთა აღმორჩევის წერილებსა, ანუ ზაპისებსა და სხვა აქტებსა მოაწერდეს ხელსა.

ხელის მოწერა მრწმუნებლისა

ხელ წერილი 1
მოწმებისა 2

სამოსამართლო მაჩვენებელი.

საქმენი, რომელნიც უნდა მოისმინონ ტფილისის სამაზრო სასამართლოში სამოქალაქო განყოფილებაში, 10 მაისს.

1) საძიებელი საქმე იასაულის ბასილ ზარიძისა სამსახურიდგან გამოსულ ნიკოლოზ ორბელიანზე, რომელსაც არ გადაუხდია ვალი 4,942 მან. 95 კაპ.

2) საძიებელი საქმე ალექსანდრე ანანოვის ვექილისა და მიხაილ ბულულოვისა ღენერალ მაიორ იერემია არწრუნზე ვალის 2,286 მან. გადაუხდელობისთვის.

3) საძიებელი საქმე ქვრიეის ჟირიაკოვისა სოფიოსი თ. ზაქარია ანდრონიკაშვილზე ვალის 2,400 მანეთის გადაუხდელობისთვის პროცენტით.

4) საძიებელი საქმე კერძოობითი ჩივილით მნაცაკან ტერ ოჰანეზის ექილისა, თეოდორე მიხაილ სემიონოვისა, უწინდელი ტფილისის უეზდის სასამართლოს დაწესებულებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმის ექილის ძიებით მოპასუხეს აგასი არზუმანოვისადმი.

5) თხოვნა თავის დის ექილისა აჯარ-ხანუმ აღალარისა, კოლლეჭსკი სეკრეტარის აბას-ძული-ბეკ სოფიოსი აბულ-ფატ-ბეგის ქონების აკრძალვინებაზე.

უფალო რედაქტორო!

არ ვიცი ჭართლში და კახეთში როგორ არის და იმერეთში ვერ ნახავთ ისეთს კაცს, რომელსაც თავის სიცოცხლეში არ შეეთხზვას ოდიოდე გაწერა ლექსი. ბურიაში, სადაც შაიროობით დაიწყება ყოველივე საქმე, ლექსის, სიმღერის და კეკლუცობის მეტს (აქ ასე იტყვიან) ვერას გაიგონებთ. აქ, თუ ლექსის წერა არ იცი, მეგობროობაზე ტყუილათ ნუ ფიქრობ. თუ გასჭირდა, სხვას დააწერინებენ და ულექსოთ ქალის და კაცის დაახლოება ერთმანეთთან შეუძლებელი საქმეა. ერთი ოდი თაბახი ქაღალდი რომ მაინც არ გალექსონ, უმისოთ როგორ იქნება! ბურიაში ბევრი ხელნაწერი ლექსები არის მიწერ-მოწერილი ქალსა და კაცს შორის; ერთი ლექსით ჰკითხავს, მეორეც ლექსითვე პასუხს გასცემს. შესანიშნავი საქმე ის არის, რომ გლეხები, ამ საქმეში უფრო ნიჭიერები და მჭევრ-გონებიანები არიან. თვით ლექსები როგორია, ან რა აზრისანი არიან, ამაების სჯას არ დაეწყება, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც ხალხის თხზულება და ნაწარმოებია. არ იქნებოდა ურიგო შეკრება ამ გვარი ლექსებისა; მე ცუდს დროს დავიწყე ეს საქმე და, რომ მდგომარეობას არ შეეშალა, ადრევე მოვიყვანდი სისრულეში ამ შრომას.

ბურია ისეთს ცხოვრებაშია, რომ ლექსობა, სიმღერა, მახვილობა და ამ გვარები აუცილებელი საქმეა იმათთვის: წარმოიდგინეთ შეკრებილება დროს გასატარებლათ, ანუ ქორწილი, სადაც საესეა ქალითა და კაცითა და სადაც აუცილებელია სიმღერა, „ღიღინი“.... თქვენ გიცნობენ კარგ დამწყებლათ და მიგიწვევენ სიმღერაში. აი დაიწყეს სიმღერა და ყველანი, ქალი და კაცი შეექცევიან; თქვენ უჭვრეტთ თქვენს მეგობარს, რომელსაც შეიძლება წინეთ მისწერეთ საშაიკო ლექსი და თის ვაჭრობა აქვს. რასაკვირველია, რომ ასი მანეთი წელიწადში ათასი ჰხდება და ეს სულ სირაჯის ჯიბეში მიდის; მებატონე კი პირღია რჩება. თქვათ ახლა იგივე სირაჯი მეორე წელიწადს მაკარიას წავიდა, იყიდა საქონელი მოიტანა და ისევ იმ მებატონეს ჰყიდის და, როგორ ჰყიდის? ოდი იმდენათ?—მეტი რა გზა აქვს, რომ მებატონემ არ იყიდოს? თვითონ ხომ ვაჭრობა არ იცის და არც ფულის ყარათი აქვს, რომ მაკარიაში წავიდეს და საქონელი მოიტანოს; მაშ ტიტველა ხომ ვერ იქლის: ოდი იმდენი უნდა მისცეს, აბა რა ქმნას?

ამ რიგათ ვაჭარი მაშინაც გეცარცვავს, როცა ჩვენგან ღვინოს და სხვა ნამუშევარს ყიდულობს და მაშინაც გეცარცვავს, როცა ჩვენივე ფულით ნასყიდს საქონელს ჩვენზე ჰყიდის.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ კაცი თუ თავის ჭკუას და ღონეს მოიხმარს დიდი შრომაც რომ არ გასწიოს, ხერხიანობით მაინც მოიგებს საქმეს და კარგათ იცხოვრებს. ამ გვარათ იქცევიან ჩვენი ვაჭრებიცა. ამისთვის თავდაპირველად იმას უნდა ეცადოს ჩვენი საზოგადოება, რომ ამ შუამავალ კაცებს ღონე დაუკარგოს, ხელიდამ გამოაცალოს ვაჭრობა. საჭიროება მოითხოვს, რომ თვითონვე მიჰყონ ხელი აღებ-მიცემობას და ყოველ გვარ ხელოსნობას. მაგრამ რამდენათაც უფრო გონებითგახსნილია კაცი, იმდენათ იმის შრომას მომეტებული ნაყოფი მოაქვს. ამისთვის პირველი და უკანასკნელი ყურადღება ჩვენს ახალგაზდობის ზრდაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ შემდეგს დროს მოუმზადოთ გონიერებით დახელოვნებულნი მშრომელი შთამომავლობა. აქ ჩვენ უნდა მოუწოდოთ საქართველოს დედათა, ამიტომ რომ თაყვა პირველი წრე ჩვენის ახალგაზდობისა იმათ ხელშია. იმათ უნდა მისცენ ბეჯითი საფუძველი საქართველოს მომავალს ყმაწვილს კაცობას. ამის ასასრულებლათ რა საშუალება გვაქვს ხელში, ან რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება? ამის პასუხს შეძლების გვარად შემდეგ მოგახსენებთ.

(შემდეგი იქნება).

რესი დამემართოსო და უკან დარჩენა, ესე იგი უწინდულათ ცხოვრება ხომ შეუძლებელიაო. ამ გვარი მდგომარეობა ყველაზე უმძიმესია, ამიტომ რომ კაცს ვერ გადაუწყვეტია ვერაფერი: ძველს ჩვეულებასაც ვერ განშორებია და ახალ დროს მოთხოვნილებისამებრ კი ვერ ეხერხება მოქმედება. ის ძველს დროს გამოთხოვებია სამუდამოთ და ახლისა არა იცის რა. სწორეთ ამ გვარს მდგომარეობაშია ჩვენი საზოგადოებაც. ხელის განძრევა ეთაკილება, მაგრამ უიმისოთაც რომ ვერ უცხოვრია! არის ასე ორ წყალს შუა გაჩერებული. ბაჭირების ხალხთა ზურგზე აჰკიდებია, და თვითონ კი ამას გულ-გრილად უყურებს. არა ამისთანა მდგომარეობაში გულგრილობა არ ვარგა. რადგან ძველის დროს მობრუნება შეუძლებელია, ბარემც გამოვეთხოვოთ სამუდამოთ ყველა იმ ჩვეულებებსა, რაც ძველს დროს შეჰშვენოდა. ვსცნოთ, რომ თავისუფალი შრომის ბევრათ უფრო კეთილშობილურია ხელის გაუნძრეველობაზე: ის გამოსცდის კაცს, ზნეობით აღამაღლებს და ცხოვრებასაც გაგვიკეთებს. მადლობა ღმერთს რომ ამ გვარი შრომა დასაწყისიც სჩანს: ამ ცოტას ხანში ტფილისში გაიხსნა სამი ქართული ღვინის ხარდაფი უფ. სულხანოვის და კამპ., ქახელ-მებატონეებისა, და თ. დავით ჭავჭავაძისა. მაგრამ რაც საქართველოს ხალხს შრომაში სიმხნე შეუძლიან აღმოაჩინოს, იმას რომ ზემოთ მოხსენებული ნაწარმოები შეუფარდოთ, სრულებით აღარასფერი არ ჩნდება: სამი და ოთხი სარდაფის გახსნა შრომა კი არა შრომის აჩრდილიც არ არის... დრო არის ჩვენმა საზოგადოებამ მიჰყოს ხელი არამც თუ მარტო ღვინის სარდაფის გახსნას, არამედ ყოველს გვარს ხელობას, ვაჭრობას და მეურნეობას. დრო და დიდმა და პატარამ მოჰკიდოს ხელი იმას, რასაც გარემოება წილად ახვედრებს. მაგრამ ამ აზრის გასამარტებლათ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩვენს საზოგადო ცხოვრების ვითარებაზე.

არამც თუ ჩვენ'ძი, ყველგან საცა კი კაცთა საზოგადოება არსებობს, ხალხი იყოფა ორ ნაწილათ: ზოგი შრომობს და თავის შრომის ნაყოფს ჰყიდის სხვას, რომ მაგიერში, რაც აკლია, ის იყიდოს; სხვანი კი არც შრომობენ, არცარას თავის ნაშრომს ჰყიდიან; მაგრამ ესენი უფრო ხერხიანები არიან. თუმცა არას აკეთებენ, მაგრამ მშრომელების ნაწარმოები სულ იმათ ხელში გადადის. ვთქვათ მაგალითად მთელს ბორის უეზდში მარტო პური მოჰყავთ და იმის მეტს სხვას არას აკეთებენ. მაგრამ ბორის უეზდის მცხოვრებლებს, გარდა პურისა, საქონელიც სჭირიათ ტანთ ჩასაცმელათ; ამისთვის მომეტებული პური უნდა მიჰყიდონ იმათ, ვინც მარტო საქონელს: ბამბეულს, აბრეშუმეულს და სხვ. აკეთებენ. ვთქვათ ამ საქმეს ტფილისის უეზდის ხალხი ასრულებს. რასაკვირველია, ბორის უეზდის მცხოვრებლებისთვისა და ტფილისის უეზდის მცხოვრებლებისთვისაც უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ თავთავიანთი საქონელი ერთიერთმანერთში მიეყიდათ, ან გაეცვალათ; ამიტომ რომ უფრო იეფად დაუჯდებოდათ და თავისი შრომა ოდნაც არ დაეკარგებოდათ; მაგრამ წარმოვიდგინოთ რომ ტფილისელებს და გორელებს იმისთანა შუა კაცები გამოუჩნდნენ, რომ შრომა არ უყვართ და ბორში მოდიან გორელებს ეუბნებიან, მე საქონელი მაქვს, მოიტა, პური მომყიდე საქონელი მოგყიდოო. რაც შეიძლება იეფ ფასად სტყუვებს პურს ალაგზე და იქიდგან რომ მოელენ ტფილელებთან, ამათაც ეუბნებიან, მოიტა საქონელი მოგვყიდე, პური გვაქვს, პურს მოგყიდითო. ეს შუაკაცები ტფილელებისაგანაც იეფად ყიდულობენ და გორელებისგანაც: ერთსაც და მეორესაც აზარალებენ ხოლმე, თვითონ კი ორთავეს წანაგლეჯით ჯიბეს ივსებენ და ორივე მშრომელებზე უფრო კარგს ცხოვრებაში არიან, თუმცა თვითონ კი თავის შენაძენზე (მონაგარზე) იმდენს ოფლს არ ღვრიან. როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს შუამავალი კაცები თავისი ხერხიანობით ორთავე მშრომელების ბატონებათ ჰხდებიან. ტყუილა კი არ არის ნათქვამი.

ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა.

თუმცა ბატონობა ძველიდგანვე ძალდატანებით იყო დადგენილი ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ თუ ხერხი აქვს კაცს, ძალაც არ უნდა, უიმისოთაც უფრო კარგი ბატონი შეიქნება ხოლმე ქვეყნისა. ახლა ამ გვარი ჩვენი ბატონები გახლავან მოვაჭრეები. ისინი თავის შუა კაცობით დიდიხნიდგანვე გვაცლიან ხელიდგან ჩვენს ნაშრომს და ამ ბოლოს დროს ჰხდებიან ცოტ-ცოტათ ჩვენი ადგილ-მამულების მეპატრონეები და ჩვენ კი ძალა-უნებურათ იმათი მოსამსახურეები. აი, როგორ შუაშაელობენ ჩვენში ვაჭრები. პურს, ღვინოს, ხორცს, შეშას და სხვა გასაკეთებს მასალას ჩვენგან ჰყიდულობენ და ყიდულობენ ძალიან იეფად; ამიტომ რომ ხერხი იციან. აი მაგალითად, წავა სირაჯი კახეთში, და იყიდის ერთ მებატონესგან სულ ყველა იმის ღვინოებს. იქვე დაბეჭდავს და აგდებს მებატონის ქვევრებში. ჯიბაში კი ასი მანეთის მეტი არა მოეძევარა: მაგრამ მებატონეს ასე ეუბნება:—აი, ძმობილო, ამ ას მანეთს გაძლევ და ასი მანეთის ღვინოს ახლა წავიღებ ტფილისს: შემდეგ რასაც წავიღებ იმის ფულსაც თან-და-თან გაძლევ; ბატონიც ყაბულს არის ამიტომ რომ ფული ხელათ სჭირდება. სირაჯი გაჰყიდის რასაკვირველია ას მანეთ მეტად კახეთიდგან მოტანილს ღვინოსა, ას მანეთს კახეთის მებატონეს გაუგზავნის, სხვას ჯიბეში იდებს; იმ მეორე ასი მანეთის ღვინოც ჩამოაქვს ტფილისში: იმ ღვინოში ას მანეთზე მეტს აიღებს, ასს მანეთს ღვინის პატრონ უბრუნებს, სხვას თვითონ იდებს ჯიბეში; იმ ასი მანეთის ღვინოც ხელ-ახლავ ტფილისში მოაქვს გასაყიდავათ. ამ რიგათ სირაჯი იმ თავის ას მანეთს ატრიალებს და ერთბაშათ ორი ათასი მანეთი წელიწადში ჰხდება. ეს სულ სირაჯის ჯიბეში მიდის; მებატონე კი პირღია რჩება. ვთქვათ ახლა იგივე სირაჯი მეორე წელიწადს მაკარიას წავიდა, იყიდა საქონელი მოიტანა და ისევ იმ მებატონეს ჰყიდის და, როგორ ჰყიდის? ორი იმდენათ?—მეტი რა გზა აქვს, რომ მებატონემ არ იყიდოს? თვითონ ხომ ვაჭრობა არ იცის და არც ფულის ყარათი აქვს, რომ მაკარიაში წავიდეს და საქონელი მოიტანოს; მაშ ტიტველა ხომ ვერ იქლის: ორი იმდენი უნდა მისცეს, აბა რა ქმნას?

ამ რიგათ ვაჭარი მაშინაც გეცარცვავს, როცა ჩვენგან ღვინოს და სხვა ნამუშევარს ყიდულობს და მაშინაც გეცარცვავს, როცა ჩვენივე ფულით ნასყიდს საქონელს ჩვენზე ჰყიდის.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ კაცი თუ თავის ჭკუას და ღონეს მოიხმარს დიდი შრომაც რომ არ გასწიოს, ხერხიანობით მაინც მოიგებს საქმეს და კარგათ იცხოვრებს. ამ გვარათ იქცევიან ჩვენი ვაჭრებიცა. ამისთვის თავდაპირველად იმას უნდა ეცადოს ჩვენი საზოგადოება, რომ ამ შუამავალ კაცებს ღონე დაუკარგოს, ხელიდამ გამოაცალოს ვაჭრობა. საჭიროება მოითხოვს, რომ თვითონვე მიჰყონ ხელი აღებ-მიცემობას და ყოველ გვარ ხელოსნობას. მაგრამ რამდენათაც უფრო გონებითგახსნილია კაცი, იმდენათ იმის შრომას მომეტებული ნაყოფი მოაქვს. ამისთვის პირველი და უკანასკნელი ყურადღება ჩვენს ახალგაზდობის ზრდაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ შემდეგს დროს მოუმზადოთ გონიერებით დახელოვნებულნი მშრომელი შთამომავლობა. აქ ჩვენ უნდა მოუწოდოთ საქართველოს დედათა, ამიტომ რომ თაყვა პირველი წრე ჩვენის ახალგაზდობისა იმათ ხელშია. იმათ უნდა მისცენ ბეჯითი საფუძველი საქართველოს მომავალს ყმაწვილს კაცობას. ამის ასასრულებლათ რა საშუალება გვაქვს ხელში, ან რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება? ამის პასუხს შეძლების გვარად შემდეგ მოგახსენებთ.

(შემდეგი იქნება).

ახლა, როგორც დამწუები, მშვენიერად ამღერებთ იმ ლექსსა, ის მაშინ იწვის, როგორც გურულები იტყვიან. აბა, ვინ არ მოინდომებს მათ შორის ლექსის წერას და სიმღერის სწავლას!

მაგრამ ესეც უნდა გითხრათ, რომ მარტო პატარა ლექსის წერა არ იციან გურულებმა, ხშირად შეეხებიან სხვა-და-სხვა საგნებსაც; მაგალითებრ: „ბნელი იპოვნეს პირველად“, „ბურიის დამორჩილებაზე“ ათასრვაას ოცდა ათში“, „ჩრდილო იბრძვის“ და თუ გინდ „მეგობარიც“ და სხ. ერთის სიტყვით გურულები წმინდა რომანტიკული ხალხია.—

მეც, ვითარცა მამულის შვილს, ყმაწვილობიდგან შემეჩვია ეს ჰირი. ჩვენს სასწავლებელში ერთი შესანიშნავი საქმეც არ მომხდარა (ჩვენი სასწავლებელი შესანიშნავი იყო თავის მოქმედებით: არც ერთი მასწავლებელი, ამხანაგი და არც ერთი ინსტიტუტის ქალი არ ყოფილა, რომ იმათზე ლექსი არა დამეწეროს რა). ერთი დრო იყო საასპარეზოზედაც გამოვედით რამდენიმე ყმაწვილები; მაგრამ ჩვენმა კურთხეულმა უფროსმა ასეთი ასპარეზობა გვიჩვენა, რომ სულ დაგვავიწყა ჩვენი შრომა.

მას მერმედ, დაეხსენ წერას, უნდა გამოგიტყდეთ, ერთად უფრო იმისთვის, რომ დრომ დამჩაგრა და მეორეთ ვერც ეხედავდი დიდს პოეტობის ნიჭს ჩემში. ამას არც ეხლა ვჩემულობ, თუმცა ამასთანავე ერთ ჩემს დაწერილს ლექსსაც ეხლა გიგზავნით დასაბეჭდავათ; მაგრამ იმასაც მოგახსენებთ, რა მიზეზი იყო ამ ლექსის გამოგზავნისა დასაბეჭდავათ.

აქ, სადაც მე ახლა გახლავარ, ხშირია ყმაწვილებს შორის დავა სხვა-და-სხვა საგნებზე. ერთხელ ამისთანა დავაზე დავესწარ, სადაც უფრო ჩხუბობდნენ, და არა დავობდნენ, რადგანაც საქმე იყო ერთი ჩვენთაგანისა ამხანაგობიდამ გაგდებაზე, რომელს უმტკიცებდნენ ჩურჩულს ურიგო ადგილზე და ცუდს ჩვეულებას. ბევრს ძიებას შემდეგ მარტო ეს ერთი კაცი არ დარჩა უბედური და გაგდებული ამხანაგობიდამ; ერთი ორი ამხანაგებიც გამოუჩნდა ამ საქმეში...

შემდეგ ამ საქმისა ერთმა ყმაწვილმა დაიწყო ერთ გულის შემატკივარ საგანზე ლაპარაკი და სხვებმაც აყვა. ეხლა დაწერილებით არ შემიძლია გადმოგცეთ ეს დავა და, ჩემის აზრით, არც არის საჭირო დაწვრილებით იმისი ცოდნა, ამისთვის ორიოდე სიტყვით გეტყვით, თუ რაზე მდგომარეობდა თავი საქმე: და დანარჩენს თქვენც მიხვდებით, რადგან მეტის თქმა გარემოებით აკრძალულია.

უმეტესმა ნაწილმა ყმაწვილებთაგანმა წარმოსთქვა აზრი, რომ დარვინის თეორიას ჩვენ არ უნდა ვეწინააღმდეგოთო. ძლიერისაგან სუსტის „ჩაყლაპვა“ ბუნების წესიაო. თქვენ ალბათ გესმისთ ეს აზრი, რადგანაც „დროებაში“ იყო ამაზე სტატია, თუმცაღა მე სამწუხაროდ არ წამიკითხავს. ჩაყლაპვა ბუნებითი კანონია, ამისთვის სუსტნი ჩაიყლაპებაო ძლიერებიდამ და დაწინაურებული კაცი არ უნდა ეწინააღმდეგოსო ამ ბუნებითს კანონს, ლაპარაკობდნენ ისინი. . . . . .

. . . . . .

აქ არის ლაპარაკი ბრძოლაზე პირუტყვებთა შორის, რასაც დარვინი ეძახის „არსებობისათვის ბრძოლას“(არ ვიცი კარგა ვთარგმე, თუ არა.). . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

ჩვენი დედ-მამები უნებურათ რაღაც ამ „დაწინაურებულების“ თეორიის აზრისანი გახდნენ შესახებ თავის შვილებისა; მაგრამ ეს სხვა მიზეზების გამო გახლავს. ერთი ამ გვარ მიზეზთაგანი გახლაეთ მოდა და უგნური ბაძვა ჩვენი ქალებისა. ერთს ამ გვარ ქალთაგანს, წარმოგიდგენსთ ეს ლექსი.

დედა და შვილი.

ვუძღვნი ი. ე. მოს—ეს.

— დედავ, დედავ, მომშივდა,
აბა მაჭამე პური;
აწ წასვლის დრო მოვიდა,
რეკენ, მიუგდე ყური. (*)

—

მომეცი ეგ ბუბლიკი,
აღარ დამაგვიანო.
— „ზაჩიმ ტი პაგრუზინსკი
ტალკუშ პოსტოიანო?“

—

— დედავ, გთხოვ, მომცე ნება,
ვერ გამოვსთქვამ რუსულათ;
შენ გქონდეს მოთმინება,
ანბავს გეტყვი ქართულათ.

—

— „ნუ, სკარეი, ღავარი,
ბოლში ნე პოზვალემ.....
ბიჭო, ვინლაც მოდის.
შთხარ, ნე პრინიმაემ.“

—

— აი, სიტყვა მოძღვარის,
ქართული ისწავლეთო;
საჭიროება არის
ქარგათ მოემზადეთო.

—

როცა რომ, დედავ, ენა
ქარგათ გეცოდინებათ;
მაშინ საგნების სწავლა
აღარ გაგიძნელდებათ.

—

შეისმენთ აზრებს, სწავლას,
ქარგა დახელოვნდებით,
მერმე რუსულსა ენას
ისწავლით, მოესწრებით.

—

ვინც რომ სამშობლო ენას
ივიწყებს და არ ეძებს,
ძლიერ კარგიც რომ იყოს,
ნაყოფს ვერ გამოიღებს.

—

ვერც ჩვენა და ვერცა სხვებს
ვერ გამოგვადგებაო,
თავის თავსაცა ავნებს,
ტყვილად ჭრელაძდებაო.

—

მაშ შენ ქართულ ენისთვის
ყოველთვის რათ მიწყრები;
და ნამტვრევ რუსულისთვის
პატივს მცემ, მეფერები?

—

შენც ხომ რუსული, დედავ,
ქარგათ ვერ გისწავლია,
მაგრამ, როგორცა ვხედავ,
ლოტოსთვის მიგიღია.

—

სტუმრების დასახვედრათ,
ქლუბში სატრიალებლად
და ვიზიტებისათვის. . .

. . . . . .

—

აქ დედამ მრისხანებით
შეჰყვირა, არ აცალა;
წამოდგა, მოწიწებით
ქედელზე მიახალა.

—

„მალჩი, ნეპონიმაეშ,
იატებე ზადომ!“
— რაქნა, რა გაეწყობა,
დედას უნდა ვაამო.

ბურული.

10 ოქტომბერს
1867 წელს.

(*) შვილი სასწავლებელში მიეშურება.

პოლიტიკა.

ფრანცია.

უ. უ. კერავეგენისა და მაძინის წერილები. უკანასკნელ დროში დიდი ლაპარაკი ასტყდა ფრანციის დეპუტატის, უ. კერავეგენის წერილის გამო, რომელიც იყო დაწერილი მაძინის სახელზე. უ. კერავეგენი ამ წერილში სთხოვდა მაძინის, რომ ეს დამოწმებოდა იმას, იმაში, რომ ექვსი კერავეგენისაგან მოხსენებული გაზეთები ნამდვილად მოსყიდულნი იყვნენ იტალიის მმართებლობისაგან. მაძინიმ კერავეგენის წერილი მარტის ბოლოს მიიღო, მაგრამ პასუხი 9 აპრილს ძლივს გაუგზავნა და მაშინაც თავის სურვილის წინააღმდეგ, რადგან, როგორც თითონ ამბობდა, არ უნდოდა გარეულიყო ბარნიე-დე-ქასინიაკის ტალახით გასვრილ საქმეში. უ. კერავეგენის წერილი მაძინისთან ისეთი მთინთლავი და პირ-მოთნე გამოხატვაებით არის სავსე, რომ კაცს არ შეიძლება არ გაუკვირდეს, რომ სჯულის მდებელი კორპუსის წევრი, რომელსაც თავი მოაქვს იმპერატორის მმართებლობისადმი ერთგულებით, ისეთს ზრდილობიან წიგნსა სწერს იმ კაცს, რომელიც დიდი ხანი არ არის განსაჯეს ფრანცუზების იმპერატორის სიცოცხლის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობისთვის.

თვით წერილებსაც წარვუდგენთ მკითხველებს..

„უ. Ჯუზეპპე მაძინის, რომის რესპუბლიკის მყოფს ტრიუმვირს. (*)

მ. ხ!. მე არა ვაქვს ბედნიერება თქვენი პირის პირ ცნობისა, მაგრამ მაინც არ ჩავითველი კადნიერებად, რომ გთხოვოთ თქვენ დახმარება და ვისურვო თქვენის სახელის ავტორიტეტით სარგებლობა, მეტადრე იმისთანა საქმეში, რომელზედაც ყველა გაზეთები ამდენს ლაპარაკობენ და რომელიც უეჭველია თქვენც კარგათ იცით. უველა ფრანცუზების დეპუტატებში მხოლოდ მე მოვიხმარე იმდენი ეაჭკაცობა, რომ არ დაეერიდე და ტრიბუნიდგან გავკრცხე იმ გაზეთების ბოროტი ზნე, რომელთაც ჰრაცხაედნენ ლიბერალურ გაზეთებად და ნამდვილად კი—დაქრთამულნი იყვნენ. მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ ჩემგან წარმოდგენილი ფაქტები სრულებით ჭეშმარიტნი არიან; ეს ჩემი დაჯერება ჰსწამთ ყველას და უმეტესად იტალიელებს, რომელთ ცნობის ბედნიერება მაქვს მე. მაგრამ, როდესაც საქმე ამისთანა სათაკილო და არა სახუმრო საქმეზეა, მაშინ ზნეობითი დაჯერება არ არის საკმაო; მაშინ საჭირონი არიან იურიდიკულნი და ნივთიერებითნი დამტკიცებანი. მე ძალიან კარგად ვუწყი, რომ ამისთანა დამტკიცებაებს მე ვერას გზით ვერ მოვიპოვებ. რაც უნდა იყოს, მაინც დაჯერებული ვარ, რომ ჩემი ვალდებულება აღვასრულე და მზა ვარ ყველა იმის შედეგის პასუხისგებაში ჩავდგე. თუმცა მე ეს მტკიცედა მრწამს, მაგრამ მაინც მსურს, რომ კეთილსვინიდისიან პირთ, ჰეშმარიტთ მამულის მოყვარეთ, წარჩინებულთ, რომელთაც, თქვენებრ, მთელი სიცოცხლე ერთი იდეის (აზრის) მსახურებისათვის შეუწირავესთ, ხელი მომცენ მე ამ გაჭირვებულ წამში, რომელიც ჩემ პოლიტიკურ ცხოვრებაში შემხვედრია. მე ვარ თქვენა ხართ რესპუბლიკელი, და რა გგონიათ: მე, ფრანცუზების სჯულის მდებელი კორპუსის წევრმა, ტყუილი ვსთქვი, თუ ჰეშმარიტი მართალი? ეს ის კითხვაა, რომელზედაც მე მსურს მივიღო თქვენგან, როგორც რესპუბლიკელისაგანა და მოქალაქისაგან, გადაჭრილი პასუხი. თუ თქვენ გამოაცხადებთ, რომ ვსთქვი მართალი, იტალიის შესახებ მაინც, მაშინ მე განრინებული ვიქნები სხვა და სხვა პირთ წინააღმდეგობისაგან, რადგან თქვენ კეთილ სვინიდისიანობას არავინ იჭენეულობს. თუ არა და მე დაეჭუმდები. მაინც მე ვფიქრობ, რომ დაფარულ ფონდებს, რომელთაც თორმეტის წლის განმავლობაში, ჰნიშნავდა იტალიის მმართებლობა, სწორედ ის დანიშნულება ჰქონდა, რაც მე ზევითა ვსთქვი. ამ წიგნს გადმოგცემთ ჩემის თხოვნით იტალიის პატრიოტი, რომელსაც მე ვიცნობ გაზეთის რედაქციით. ვიმედოვნებ, რომ მაღირსებთ ამის პასუხს 16 აპრილამდე, რადგან ამ დღეს უნდა გადაწყდეს დავა, რომელიც დამიწყეს მოხსენებულმა გაზეთებმა; ახლავე მოგახსენებთ მადლობას, წარჩინებულო პატრიოტო, და გთხოვთ მიიღოთ უღრმესი თქვენდამო პატივისცემა.—

კერავეგენი, სჯულის მდებელი კორპუსის წევრი.

დეპუტატს უ. კერავეგენს.

„. . . 9-ს აპრილს 1868 წელსა.

მოწყ. ხელ.! დღეს გაძლევთ პასუხს თქვენს წერილზედ, რომელიც არის დაწერილი 17 მარტიდგან. მე არა მაქვს არა ვითარი ნივთიერებითი საბუთი და არც ცნობა რამე, რომ შემეძლოს დავამტკიცო ის ბრალის დადება, რომელიც თქვენ გამოგითქვამსთ შესახებ ფრანციცული გაზეთებისა. მაგრამ რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომელსაც თქვენ სდებთ იტალიის მმართებლობას, მაგაში თქვენ ხართ სრულებით მართალი. იტალიაში თითქმის ყველამ დიდიხანია იცის, რომ დაფარული ფონდის (ფულის) ერთ ნაწილს მმართებლობა ხარჯავდა ფრანცუზულ და სხვა უცხო ქვეყნის გაზეთების დასაქრთამავად. როგორც მახსოვს, ერთმა იტალიის მინისტრმა პარლამენტში სთქვა ამ საგანზე, ვითომც მართალი ყოფილიყოს ის ხმა, რომელიც დაადგეს იტალიაში დაფარულ ფონდების ხარჯვაზედ. ეს კია, რომ იტალიის მთავრობისავან დაქრთამული გაზეთების სახელი არ ვიცი, და არც მსურს შევიტყო, მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩვენი მინისტრების ჭუჭყში ხელი არ გაეისვაროო. დარწმუნებული იყავით თქვენდამი ჩემსპატივის-ცემაზე. მაძინი.

როგორც კერავეგენის წერილშია მოხსენებული, 16 აპრილს იყო გასამართლება ამისი და გაზეთების საქმისა. შემდეგ ბაასისა კერავეგენი გაამართლეს და სასჯელისგანა და გამოძიებისაგან განათავისუფლეს, თუმცა ამას სულ არავინ მოელოდა,—და რაც სამსჯაეროში დაიხარჯა—იმის წინააღმდეგებს გადაახდევინეს.

—

ავსტრია.

ვენგრიის ახალი მოთხოვნილებანი.—ხალხობაზედ ლაპარაკი. ვენის გაზეთები გვატყობინებენ ჩვენ ერთ იმისთანა ახალ მაგალითს, რომელიც ცხადათ გვაჩვენებს ჩვენ, თუ როგორ ესმისთ ვენგრიელებს უფლებებისა და სახელმწიფო ხარჯის გათანასწორება თავიანთი და იმპერიის მეორე ნაწილის შორის. ავსტრიის მმართებლობამ დიდიხანია დააპირა ექსპედიციის გაგზავნა ზღვით შორ-აღმოსავლეთისკენ,—იმ აზრით კი არა, რომ ომი აეტეხნა ვისთანმე, არამედ მშვიდობიანის ჰაზრით, რომ აღმოსავლეთის შორ ქვეყნებთან სავაჭრო მორიგებაები მოეხდინა. ამ განზრახვას სხვა და სხვა მიზეზები აბრკოლებდნენ აქამდის. ახლანდელი დრო კი მმართებლობამ მიიჩნია სახერხო დროდ ამ აზრის ასასრულებლად, და ამაზე ჯეროვანი განკა-

(*) ძველს დროს, როცა რესპუბლიკური დაწყობილება მოუძლურდა რომში, და როდესაც რესპუბლიკა იმპერიათ იცვლებოდა, სახელმწიფოს თავად ორჯერ სამსამი კაცი გახდა, იმათ ეძახდნენ ტრიუმვირას (სამი ვაჟი). იმათ მმართველობას ეძახდნენ ტრიუმვირატს,—სამთა მმართველობას; ხოლო ამ სამთაგანს თითოს—ტრიუმვირს. მაძინის ამ მიზეზით ეძახიან ტრუიმვირს: 1848 წელში რომ რევოლუცია (აღრეულობა) მოხდა იტალიაში, მაშინ ახალი რესპუბლიკის მმართველად რომში ამოირჩიეს სამი კაცი, რომელთაგანი ერთი იყო მაძინი.

რგულებაც მოახდინა: მხოლოდ ესღა უნდა განესაზღვრათ, თუ იმპერიის თითო ნახევარმა ამ ექსპედიციის დაბოლოებისთვის რამდენი ნაწილი უნდა მიიღოს ხარჯისა. რადგან ამ საქმის ასრულებას იმპერიის ორივე ნახევრისთვის სარგებლობა მოჰქონდა ამისათვის რიგი იყო, რომ ექსპედიციისთვის საჭირო ხარჯი იმათ შორის ისე გაყოფილიყო, როგორც სხვა საერთო გასავალსა ჰყოფენ, ესე იგი სამი მეათედი ($^3/_{10}$) ვენგრიას გადაეხადნა და შვიდი მეათედი ($^7/_{10}$) ცისლეიტანის მონარხიის ნახევარს. მაგრამ როგორც სჩანს ვენგრიას გუნებაშიაც არა აქვს ამ ანგარიშით გახდეს მონაწილე მოხსენებულ ექსპედიციის ხარჯში: ის აძლევს ამ საგნისთვის მხოლოდ 100,000 ფლორინს, რომელიც ძალიან შორს არის იმ ჯამზედ, რაც ჯეროვან წილად შეჰხვდება იმას ამისთანა; ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ამ ექსპედიციის აზრი—შორ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის ქონა—ძალიან სასარგებლოა ვენგრიისთვის. ვენგრიელები ამასაც ითხოვენ, რომ ექსპედიციის დაპრუნების უმალ რაც საკონსულოების გაგზავნა იყოს საჭირო აზიის ქვეყნებით—იმათგანი ნახევარი ვენგრიელები გაიგზავნონ. ერთი სიტყვით ვენგრიელები ყოველთვის და ყოველგან ძალიან ბეჯითად მასდევენ თავიან ხასიათს: იმათ ჰსურთ, რომ თითონაც იმდენი უფლება ჰქონდესთ და იმდენი სარგებლობა, რამდენიც აქვს იმპერიის (ავსტრიის) მეორე ნახევარს, მაგრამ ესეც კი ჰსურსთ, რომ საზოგადო ხარჯიდგან მხოლოდ მესამედზედ ნაკლები გაიღონ. ამბობენ, ვითომც ცისლეიტანის სამინისტრომ განიზრახა, რომ რაც უმდა იყოს აზიის ექსპედიციაში ვენგრიის მოთხოვნილებას არ დაჰყვეს. მაგრამ, რადგან ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ პეშტის (ვენგრიის დედა ქალაქია) მმართებლობაც ძნელად დაჰყვება ცისლეიტანის მმართებლობას, ამისგამო უნდა ვიფიქროთ, ვაი თუ ექსპედიციის გამგზავრებას აზიაში, იმ ექსპადიციისას, რომლისაგანაც ძალიან საიმედო იყო ავსტრიის ვაჭრობის გავრცელება, სრულებით თავი დაანებონ. ან იქნება ისეც მოხდეს, რომ ცისლეიტანის სამინისტრომ ამ საქმეშიაც დაუთმოს ვენგრიას, როგორც უწინაც ბევრჯერ მომხდარა.

წმ. სტეფანეს (ვენგრიის მეფე იყო) გვირგვინის ქვეშევრდომი ხალხების წარმომადგენელნი ხმა მაღლა იჩენენ უკმაყოფილობას. ამათ 16 აპრილს თემეშვარში რაღაც ყრილობა მოახდინეს, და ამ ყრილობის თავმჯდომარედ დეპუტატი მოსკოვნი იყო. ყრილობამ, რომელიც შესდგებოდა 300 გამოჩენილი რუმინიისაგან, იმის წარუდგინა ადრესი, რომელშიაც გამოაცხადა, რომ არა კმარობს იმ უფლებას, რაც პალატამ ხალხობის კამმისიებს დაუთმო, და ამასთან იმასაც ითხოვს, რომ იმ ალაგებში, სადაც მოჭარბებით რუმინიის ხალხია—მაგალ: თემეშვარსა და კრასოვაში,—მიანიჭონ სრული ავტონომია, ესე იგი უფლება თვით გამგებობისა (თვით მმართებლობისა). ადრესის შემდგენელნი იმასაც ითხოვენ, რომ ყველა სკოლებში და სასამართლოებში რუმინიის ენა თავ ენად გახადონ, ესე იგი, რომ სკოლებშიაც რუმინიის ენაზედ ასწავლიდნენ ყველა საგნებს და სამსჯავროშიაც ოფიციალური ენა რუმინიისა უნდა იყოს და ამასთან იმასაც იხსენიებენ, რომ თუ ამ ადრესის თხოვნას არ შეიწყნარებენ, მაშინ ვენგრიის ხალხოსნობის საქმე გაუთავებელი დარჩებაო.

—

მეხიკა.

მეხიკის საქმეების მდგომარეობა. ფრანკამერიკულ უწყებაში სწერენ:" მეხიკის მმართებლობა ეხლა უფრო ბეჯითად შეუდგა თავის ფინანსების (ფულის) საქმეს, ვიდრე როდისმე შესდგომია. ის ცდილობს ისეთ რიგად შეაწეროს ხარჯი და გადასახადი, რომ იმითი გაუძღვეს მთელ სახელმწიფოს გასავალს და ახირებულის გამოსაღების შეწერა აღარ დასჭირდეს. იმის წლევანდელი წლის გასავალი,—სამხედრო, სამოქალაქო, დიპლომატიური, და ვალი გადასაწყვეტი,-სულ ერთად შეადგენს 16.200,000 პიასტრს. (*) ჩვენ ფულზე—21,06,0000 მანეთს) დამოჭენებიდგან (სავაჭროთ საბაჟოები) მიიღებს, როგორც გამოანგარიშებულია, მთელ წელიწადს 8 მილიონ პიასტრს. მაშ მთელი წლის გასავალის გასაძღოლად დასჭირდება კიდევ 8, 200,000 პიასტრი. მექსიკას აქვს საკუთრება, ღირებული 500 მილიონ პიასტრად: მაგრამ ესთქვათ ხუთასისა არ არის—4000 მილიონის პიასტრისაა. ამ საკუთრებას რომ—სულ მცირე ხარჯი შეაწერონ—ასზე სამი სარგებელი, მაშინ იმდენს მიიღებს, რომ ადვილად გაუძღვებიან მთელი წლის ყველა მოსავალს და თანდათან ვალსაც გადასწყვეტს. სხვათა შორის ის გადაწყვეტილებაც უნდა მოვიხსენიოთ, მეხიკის მმართებლობისა, რომელიც შეებება (პრესასა) ბეჭედს; ახლა ბეჭედს ისეთი თავისუფლება მიენიჭა, როგორიც ფრანცუზისგან მინიჭებულ ბეჭედის კანონს პირდაპირ ეწინააღმდეგება. ახალი კანონის ძალით, მეხიკაში ბეჭედა სრულებით თავისუფალია, გარნა ეს კია, რომ კერძოობითი ცხოვრება უპატიურად არ უნდა მოიხსენიოს. კერძოობითი ცხოვრების წინააღმდეგი დანაშაულობისთვის ბეჭედის კანონისჯის დამნაშავეს ციხეში დატუსაღებით ორი კვირიდგან ექვს თვემდის, ხოლო ზნეობის წინააღმდეგებს-აგრეთვე დატუსაღებით—ერთი თვიდგან—ერთ წლამდის. ყველა დანაშაულობა და წინააღმდეგობა ბეჭედის კანონის შესახები ნაფიცათ სამსჯაროს ექვემდებარება; ნაფიცათ ყოფნა ყველას შეუძლიან, ოღონდ კი წერა-კითხვა იცოდეს, და თუ თანამდებობა არა აქვს რა, მაინც არას დაუშლის. ნაფიცათ სამსჯაროს, ბეჭედის საქმისთვის იქნება შემდგარი ცხრამეტი წევრისგან. სტამბები სრულებით თავისუფალნი არიან. გაზეთები გირაოს აღარ შეიტანენ და შტემპელისგანაც განთავისუფლდნენ.

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი.

ტფილისში მიღებული.

—

პეტერბურგი, 5 მაისს. ქურსკის და ხარკოვის რკინის გზის კეთება დაიწყეს.

ვაშინგტონის უმაღლესმა სამსჯარომ უარი სთქვა ჯონსონის განსჯა მეთერთმეტე დასაწამებელ მუხლის ძალით, რომელიც აბრალებს ჯონსონსა, ვითომც იმას დაერღვიოს კონგრესის უფლება.

პეტერბურგი, 7 მაისს.—მისის იმპერატორების უმაღლესობა ხელმწიფე-ცესარევნა კეთილად განთავისუფლდა და ეყოლა ვაჟი სახელად ნიკოლოს.

სხვა და სხვა ამბავი.

— ახილ მურატის ჯვარის წერა სალომე მეგრელიისაზე 28 აპრილს არის დანიშნული. პარიჟის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ჯვარის წერის გამო რუსის იმპერატორმა ყოველწლივ ოცი ათასი ფრანკი დაუნიშნავო, ხოლო იმპერატორმა ნაპოლეონმა თავის ძმისწულს ერთი მილიონი დაუნიშნავო. ამას გარდა უყიდეს მშვენიერი სახლი პერეირასი, მონსოს ბაღის, მახლობლათ.

ქალთა ყრილობა (მიტინგი) სალფორდში. ხალხთ-შორის ამხანაგობამ (ასსოციაციამ), რომელიც ცდილობს მოუპოვოს ქალებს ამორჩევის სიმართლე 15 აპრილს, სალფორდში შეჰყარა მიტინგი (ყრილობა); ამ ყრილობის თავსმჯდომარედ იყო მერი თავის ცოლითურთ. ორატორთ (მობაასეთ) უმეტესი ნაწილი ქალები იყვნენ; და ყველაზე დიდ ქებასაც იმათ უძღვნიდნენ. ბეკკერის ქალმა თავის ლაპარაკში ის აზრი გაიყვანა, რომ ქალების განშორება პოლიტიკური საქმებისაგან თავის პრინციპით მაენებელია და თავის თავადაც უსამართლოებააო. ბოლოს იმან სთქვა: „რადგან ამდის არ ანიჭებდნენ დედაკაცთ პოლიტიკურ უფლებებს და განაშორეს იგინი საზოგადო საქმეებისაგან, ამისათვის ახლაც ამდენი ხნის უსამართლოების ძალით, ჰსურსთ, რომ მომავალისთვის წარსტაცონ მათ კუთვნილი მათი უფლებანი და განაშორონ იგინი საზოგადო საქმეებისაგან." პრობენის ცოლი ამტკიცებდა, რომ თუმცა ავსტრიაში დედაკაცები ერიენენ პოლიტიკურ საქმეებშიო, მაგრამ მაინც იმისგან არა ვითარი უხერხულობა არ მომხდარაო. უ. ჩიზალმმაეშტლეიმ სთქვა, რომ უწინდელ დროში დედაკაცებს ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, და პარლამენტის წევრმა, უ. ბრაიტმა სთქვა, რომ დედაკაცთ გაელენამ დიდი შემწეობა მისცა პურის კანონის გაუქმებას, მონაობის გადაგდებას და სხვ. და სხვ. ბოლოს შეყრილობამ გამოუცხადა მადლობა პარლამენტის წევრებს, რადგან ამათ თანა გრძნობა და შემწეობა აღმოუჩინეს უ. მილლის წინადადებას, და—შემდეგ დაიშალა.

რომიდგან იწერებიან 15-ს აპრილს: „პასქის დღესასწაულის გამო რომს მრავალი უცხო ქვეყნელი მოატყდა, რომელნიც ეხლა გაიკრიფებიან იქიდგან. რომელთაც ახლო უნახავსთ პაპა, ამბობენ, რომ უწმინდესი მამა ჯერ კიდევ ყოჩაღათა და ჭარმაკათ არისო. „საუკუნო ქალაქის" მფლობელს დაარქვეს სახელად l'uomo eterno (უკვდავი კაცი). როდესაც პაპა წმინდა პეტრეს სობოროს ბალკონიდგან კურთხევას აძლევდა ხალხს, იმისი ხმა მჭახეთა და მკაფიათად ისმოდა ეველა მეიდნის ბოლოებზედ. აღდგომის ორშაბათს ჩირაღდნებით იყო გაჩაღებული წმ. პეტრეს სობოროს მონტორიაში; მაგრამ რადგან ეს სობოროს რომზედ გაშორებით არის, ამისათვის ჩირაღდანს ის ეშხი არა ჰქონდა, რასაც მოელოდნენ. თუ წვიმა არ იქნება, ხვალ პაპის პატივისცემისთვის ჩირაღდანს გააჩაღებენ.

ლიუზურკის პროცესის გადასინჯვა. პარიჟის კასსაციის სამსჯავროში ამ დღეებში გაარჩევენ ლიეზურკის პროცესს, რომელსაც წარსული საუკუნის ბოლოს უსამართლოდ დააბრალეს ლიონის ფოჩტის კონდუქტორის მოკვლა და უდანაშაულოთ დასაჯეს. ლუზურკის შვილები მთელი სამოცდა ათი წელიწადი ცდილობდნენ, რომ თავის მამის სახელისგან მოეწმინდათ უსამართლო დაბრალებით მიცხობილი ლაქა; მაგრამ ამ ცდამ სულ ფუჭად ჩაიარა, რადგან ფრანცუზები „უკვე გათავებულ" საქმეებს დიდს პატივსა სცემენ. ახლა ლუზურკის შვილის შვილმა (ქალმა) დაიწყო ეს საქმე და თავის სურვილის აღსრულებამდის მიაღწია: იმის პაპის პროცესი უნდა გაარჩიონ. კასსაციის სამსჯავრომ რომ ლუზურკი გაამართლოს, მაშინ ხაზინამ ლუზურკის მემკვიდრეს უნდა დაუბრუნოს ჩამორთმეული მამული თავის სარგებლით, რომელიც სულ ერთად შეადგენს რამდენსამე მილიონს.

ბრიტანიის საელჩოს (კონსულთ) რიცხვი. ბრიტანიის საელჩოს და სავიცეკონსულოთ რიცხვი არის 248: სახელდობ: 38—ოსმალეთში, 32—სამხრეთ ამერიკაში, 24—ფრანციაში, 18—ისპაანში, 17—ჩინეთში, 15—რუსეთში, 15—შეერთებულ შტატებში, 13—იტალიაში, 7—იაპონიაში, 4—პრუსიაში, 3—ავსტრიაში, 4—გერმანიაში, და დანარჩენიც სხვა ქვეყნებში. ჩინეთში რომელნიც არიან, ის კონსულები წელიწადში ჯამაგირს 27,000 გირ. სტერლინგს იღებენ და რომელნიც იაპონიაში არიან, ისინი 6,000 გირვანქა სტერლინგს. ამასთან უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ ბრიტანიის ელჩი, ჩინეთში გაგზავნილი, იღებს ჯამაგირს წელიწადში მხოლოდ ექვსი ათას გირვანქა სტერლინგს, იაპონიაში გაგზავნილი ელჩი კი მხოლოდ 4,000 გირვანქა სტერლინგს, (გირვანქა სტერლინგი ედარება 6 მანეთსა და 35 კაპეიკს).

ვალლისის პრინცის სასახლის ხარჯად ხაზინიდგან ყოველ წელიწადს 50,000 გირვანქა სტერლინგია დანიშნული; უწინ წელიწადში 100,000 გირვანქა სტერლინგი იყო. ეს ხარჯის შემცირება მაშინ მოხდა, როდესაც ბრიტანიის (ანგლიის) კაროლი ბიორგი II-რე წეიჩხუბა თავის შვილს ფრიდრიხს, მაშინდელ პრინცს, და ამის გამო სთხოვა პარლამენტს, რომ შეემცირებინათ პრინცის სასახლის ჯამაგირი, და ამით მოეკლოთ იმისთვის საშუალება მამისა და სახელმწიფოს წინააღმდეგობისათვის. ახლანდელი ვალლის პრინციც 50,000 გირვანქა სტერლინგს იღებს. მაგრამ რადგან გონიერულათა და მომჭირნედ იქცეოდა პრინცი ალბერტი, ამისგამო კორნვალის საგერცოგოდგან შემოსავალი, უწინ სულ რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგი, ეხლა 50,000 გირ. სტერლინგამდის მიახწია, ასე რომ ეხლანდელს პრინცს სულ ერთად 100,000 გირვანქა სტერლინგი აქვს ყოველ წელიწადს. ტაიმსის (დროება) კორრესპოდენტი ამტკიცებს, რომ ანგლიის ტახტის მემკვიდრის სასახლესთვის ჯამაგირის მომატება საჭიროაო, რადგან ყველა ცხოვრებაში სახმარებელი ნივთი ძალიან გაძვირდაო. კორრესპოდენტი იმედოვნებს, რომ გადაკეთებული, რადიკალური პარლამენტი ანგლიის ტახტის მემკვიდრეს ისეთ ჯამაგირს დაუნიშნავს, როგორიც შეეფერება მისს მაღალს ხარისხს.

სასაზინო განცხადება.

კავკასიის აქეთის სახაზინო პალატისაგან. რადგან იჯარადარი ხელტოვი კარგათ ვერ ასრულებდა საიჯარო პირობებს, ამისათვის მისმა იმპერატორების უმაღლესობამ ბრძანა, რომ სახაზინო პალატაში მაისის 21 რიცხვს დაინიშნოს ახალი ვაჭრობა იჯარით გასაცემათ 1870 წლამდის, რაც ნუხაში სასმელები შემოდის, იმის საკიზო შემოსავლისა.

ამისთვის ვაცხადებთ:

1) ვისაც შეჰვაჭრება ჰსურს, იმან უნდა წარადგინოს ვაჭრობის წინათ, ფორმისამებრ შედგენილს განცხადებასთან კანონიერი გირაო მთელ საიჯარაო ვადისათვის. ეს გირაო უნდა უდრიდეს ერთი წლის შემოსავლის მეოთხედს, ხოლო ვაჭრობაში შესასვლელათ უნდა ჰქონდეს კანონიერი დოკუმენტი, ანუ მოწმობაში თავის ვინაობაზე. საგირაოთ მიიღებენ ქალაქში მდებარე ქონებას, აგრეთვე ფულს, სახელმწიფო ხაზინის ბილეთებს და საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთებს.

2) ვისაც ზპირ ვაჭრობაში დასწრება არ უნდა, იმათ შეუძლიანთ დაბეჭდილს პაკეთებში წარმოგზავნონ განცხადებანი ფორმისამებრ შედგენილნი კანონიერი გირაოთი. ამ განცხადების შედგენაში მხედველობაში უნდა ჰქონდესთ წესნი დაბეჭდილნი სამოქალაქო სჯულთა კრებაში (გამოცემა 1857 წლისა), მუხლნი 1909—დგან 1916—მდის და 1935, 1939 და 1940. დაბეჭდილს განცხადებებს ვაჭრობის დღეს მხოლოდ თორმეტ საათამდის მიიღებენ. პაკეთზე ასე უნდა იყოს დაწერილი: Объявленіе въ закавказскую казенную палату къ переторжкѣ на отдачу въ откупное содержаніе акцизнаго сбора съ напитковъ, привозимыхъ въ г. Нуху, назначенной 21 маія 1868.го. года.

3) საჯარო პირობები ყველა გუბერნიის და უეზდის სამმართველოებში არის. მსურველთ შეუძლიანთ ამ სამმართველოებში ყველგან იხილონ ეს პირობები.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го мая 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.

(*) ერთი პიასტრი (ისპანური) 1 მ. და 30 კაპ.